შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და
ექსპერტიზის ცენტრი"
LTD „THE CENTER OF BUILDING RESEARCH
AND EXPERTISE"

თბილისი, თამარ მეფის გამზირი 5ა
Tel: (+995 32227704, E-mail: expertisecntr@gmail.com
Tamar Mefis gam. 5a, Tbilisi, Georgia

18.05.2015 № 05-18
თქვ. №

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირზე № 64 მრავალფუნქციური შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ქ. თბილისი

2015 წელი

ვამტკიცებ შ.პ.ს. „შენობა-ნაგებობათა

კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი"-ს

დირექტორი „_____" რ.ცხვედაძე

„18" „_____" 2015წ

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირზე № 64

მრავალფუნქციური შენობის პროექტის

კონსტრუქციულ ნაწილზე

შემსრულებლი:

ექსპერტი, საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის

პროფესორი გ. დანელია

ქ. თბილისი

2015 წელი

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირზე №64

მრავალფუნქციური შენობის პროექტის

კონსტრუქციულ ნაწილზე

საექსპერტოდ წარმოდგენილი მრავალფუნქციური შენობა წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასულ ნაგებობას. პროექტი დამუშავებულია შპს "იუ ეი დი სტუდია "-ს მიერ საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების გათვალისწინებით. პროექტის მთავარი კონსტრუქტორია ირაკლი ურუშაძე. შენობის საძირკველი ხიმინჯოვანია დიამეტრით 120 სმ. ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები ჩაღრმავებულია ძირითად ქანში, რომელიც წარმოდგენილია ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობით. ძირითადი ქანის საანგარიშო წინაღობაა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში 40 კგ/სმ^2. ხიმინჯებზე მოწყობილია რკინაბეტონის როსტვერკი. შენობა ისეა დაპროექტებული, რომ 2;4 და ა;ბ ღერძებს შორის სვეტები არ არის, მოწყობილია დიაფრაგმები და შენობის გარე პერიმეტრზე სვეტები ერთმანეთთან დაკავშირებულია კოჭებით, განივკვეთით 40X50 სმ. კარკასის აღნიშნული სქემით დამუშავება მისაღებია, თუმცა რეგულარული სქემა უფრო კონსერვატიულია და საიმედო. შენობის სვეტების განივკვეთებია 80X80, 70X70, 60X60,50X50 და 40X40 სმ. გადახურვის ფილების სისქეა 18 სმ-ი. შენობის კარკასი გაანგარიშებულია საანგარიშო კომპლექსის "ლირას" საშუალებით სტატიკურ და სეისმურ ზემოქმედებებზე. საანგარიშოდ მიღებულია 8 ბალი.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიმართ გვაქვს შემდეგი შენიშვნები:

1. პროექტის არ ახლავს განმარტებით ბარათი;
2. ნახაზებზე არ არის შტამპები და ფურცლების ნუმერაცია;
3. სვეტების კონსტრუქციებზე ყველგან არ არის მითითებული ნიშნულები;

4 ნახაზებზე არ არის მოცემული შენიშვნები;

5. გადახურვის ფილების არმირების ნახაზებზე არ არის მითითებული არმატურების გადაბმის ადგილები და მანძილები;

6. კოჭების სპეციფიკაციაში არ არის მითითებული არმატურები.

დასკვნები და რეკომენდაციები

საექსპერტოდ წარმოდგენილი ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირზე №64-ში მრავალფუნქციური შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია კვალიფიციურად და აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით რეკომენდაცია ეძლევა გამოყენებისათვის.

ექსპერტი:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი /გ. დანელია/

18.05.2015 წელი